


გზაგადასასრული

№ 2



გზაგადასასრული: ერთი წლისა გავაგონებთ და გავუზავნებთ—
სუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

წელიწადი რუსული დამატება — ექვსი მან.

ნახევარი წლით — ორი მან.

ცოფე რუსული დამატება წლით — სამი მან.

ნახევარი წლით — ორი მან.

გავიოს ფულის და ყოველ გავრეწვრების გავაგონებ
შეიძლება რედაქციაში ამ დარუსით: *Во шестомъ Коуриисъ,
Въ редакцiи „Миреметъ“ (Пастыръ).*

რედაქცია იმყოფება დახა შორაზანში რედაქტორის საკუ-
თარს სახლიში.

ყველა სტატიები და კორესპონდენტებმა რამდენიმე რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილი დასამუშავებლად, ყოველ რედაქციად და გასვლად უნდა იყავინ ავტორთაგან ხელმოწერილი უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საუთრებად ჩაივლებიან და სასიდიდეს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენტები შეიძლება ხან-დისხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენტები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განხვადობაში შეიძლება ავტორებს მათს ხარჯით უკანვე დაუბრუნოს. სტატიები, კორესპონდენტები და შენიშვნები რუსულ ენაზე დაწერილიც მიიღებიან და თარგმანი დაიბეჭდებიან.

შინაარსი: მოუღებლად სწავროს სამღვდლოება იტადეს სასულიერო სასწავლებელთა წესდებას. — წერილები: ლეხუმიდამ. — ოსეთიდან. — ძვირე შეიშვს. — დოვალიერებს სასლდას წმ. გიორგის ტაძრის ქ. ტბილისში. — კათოლიკოზი ანტონი II ჰ მასი დრო. — უფროსად გავითავან. — მატანე საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა. — მოკლე მომდებრება ახალ წელს. — რედაქციის პსუსი. — შეწირულება. — განცხადება.

მიუთილვალად საჭიროსა ნამღვდლოება იტადეს სასულიერო სასწავლებელთა წესდებას.

ჩემი რად ვკითხულობთ სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში სამღვდლურად სამღვდლოების შეკრებობებსაზე, ხან-დის-ხან აუტყენ საზოგადოებას დებუტატებს მისთვის, რომ მათ მასწავლებლებს რიგიანი ჯამაგირი არ დაუნიშნეს; ხან მისთვის ემღვდლებიან, რომ მათ რომელიმე კითხვა სასწავლებლის. შესახებ კანონისა მებრ ვერ დაადინეს და ვერ გარდაწყვიტეს; ხან იმისთვის აუტყენ, რომ მათ თავისი უფლება ვერ მოიხმარეს. რიგიანად და საკირო საგნებზე სრულებით ყურადღება არ მიაქციეს და სხვები კიდევ რას ამბობენ — ვინ მოთვლის! ზოგიერთები ამისთანა უსაფუძვლო მსჯელობათაგან იმ დასკვნადმდე მიდიან, რომ სრულებით უარს-ჰყოფენ სამღვდლოებათა შეკრებობების სარგებლობას და ცდილობენ მათ საუკუნოდ მოსაობას.

ჩინც საქმეს აკვირებთ რიგიანად, ვისაც თვალყური უდევნება, არა თუ მიიღებს იმპერიაში, არამედ

მართა ჩვენ საქართველოში სამღვდლოების შეკრებობათა მ ქმედებისათვის, ის, რასაკვირველია, არასოდეს არ ჰყოფს უარს სამღვდლოება შეკრებობების სარგებლობას და მათ მოსაობაში დაიხანავს სასულიერო სასწავლებელთა დამკირებას.

ჩემ როს აქეთ, რაც სასწავლებლების ახალი წესდება გამოვიდა სასულიერო სასწავლებლები სრულებით შეიცვალენ; ეკონომიური მდგომარეობა ამა სასწავლებელთა ძლიერ გაუმჯობესდა; ძველი „მურსული“ შეკრებების ცხოვრება რიგიან ცხოვრებად შეიცვალა. მინ უფრო იზრუნებს თავის შეიღზე, თუ არა მამა? მაშები შეიკრიბნენ და უკანასკნელი ქონების შეწირვა არ დაიზურნეს თავიანთ შეიღებისათვის. მათ გაუხსნეს სასწავლებლების კარები გლეხი კაცების შეიღებასა და იმათზედც ისე ზრუნავენ, როგორც თავიანთ შეიღებზე; ისინი არ არჩევენ თავიანთ შეიღებისაგან გლეხი კაცების შეიღებას.

სამღვდლოება ასე იქცევა მაშინ, როდესაც ნამეტანმა მათგანმა სრულებით არ იცის სასულიერო

სასწავლებელთა წესდება; არ იცის, თუ რა უფლება აქვს სამღვდლოების შეკრებილობაზე მათ წარმო-
მადგენლებს, არ იცის ხშირად ისიც, თუ რა საგნის
გამო ირჩევს თვის შორის „დეუტანტს“ და რაზედ
ექმნებათ ამ დეუტატებს მსჯელობა შეკრებილობაზე.
მს „დეუტანტიც“ მიდის ხშირად შეკრებილობაზე
სასწავლებლის საქმეებისა გამო და იღებს მონაწი-
ლეობას მსჯელობაში, მაგრამ სასწავლებელთა
წესდების სრულებით არა გაეცება-რა.

ზოგიერთი კითხვები იმას სრულებით არ ექაშ-
ნიკება და უარს ამბობს იმისთვის გარდა-
წყვეტაზე, რომელიც პირ-და-პირი მისი გარდასა წყვე-
ტია. რისთვის? მისთვის, რომ მას სასწავლებლის
წესდება სრულებით არ წაუკითხავს და არც კი გა-
უგონია მისი სახელი. მოსამართლეს არ შეუძლია
მოსამართლეობა, თუ მან ყველა სამოქალაქო წეს-
დებანი კარგად არ იცის; ვეჭვობს არ შეუძლია საქმე
დაიცვას რიგიანად, თუ ყველა კანონები კარგად არ
შეუწავლია. ამის შემდეგ აქვს თუ უფლება, რომ
ჩვენი სამღვდლოების შეკრებილობანი აუგონ მის-
თვის, რომ ხან-დის-ხან მათი შეკრებილების მოქმე-
დებანი არ ეთანხმებინან სასწავლებლების წესდებათა?
განა შეუძლიათ ამისთანა მიზეზებით სულ უარ-
პყონ სამღვდლოებათა შეკრებილების სარგებლობა
და მათი მოსპობა მოითხოვონ? ხშირად ეხედეთ
ჩვენ, რომ ზოგიერთი მოსამახსურენი საზახნო და
საზოგადოების ფულებს იპარვენ და სჯამენ; ხშირად
ეხედეთ, რომ ეს პირები საზარალონი არიან იმა
დაწესებულებათათვის, რომლებშიც ისინი მსახურ-
ებენ. ჯერ-ჯერობით ამ მოსამახსურე პირების ცუდი
მოქმედების გამო არაყის არ მოუთხოვია, რომ
მთელი დაწესებულება გაუქმონ. იმის გულისთვის,
რომ ერთმა მოსამართლემ სამოქალაქო კანონების
უცოდინარობისა გამო საქმე ცუდად გარდასწყვიტა,
არაყის არ მოუთხოვია, და ვერც მოითხოვს, მომრი-
გებელი მოსამართლეების წყობილება სრულებით
მოსპონ.

სამღვდლოების დეუტატებს რომ რიგიანად
მიჰყავდეთ თავის საქმე შეკრებილობაზე, საქიროა,
სამღვდლოებათა იტარებს სასულიერო სასწავლებელ-
თა წესდება. ამისთვის შემდეგ **ა.მ.მ.**ში ჩვენ დავბე-
ჭდავთ სასულიერო სასწავლებელთათვის ახლად გა-
მოცემულ წესდებს, რომლის შეტყობა სამღვდ-
ლოებისათვის ჩვენ ფრიად საქიროდ მიგვიჩნია.

ლახსუმიდაჲ.

ხეჩხუმის მაზრის მცხოვრებნი სხვა მაზრების
მცხოვრებლებზე უფრო ღარიბნი არიან. ამის ერთ
მიზეზად არ შეიძლება არ აღვიჩიროთ სხვა-და-სხვა
უბრალო ჩვეულებანი, რომელთა ბევრ უბრალო
ხარჯში შეჰყავს ლახსუმელნი. ლახსუმში მეტად
ძნელი საქმეა ცოლის შერთვა. ბევრს ხალხში იყო
და ზღაპრად აღიქმებოდა ჩვეულება, რომ სასი-
ძოს, თუ მან კარგი საჩუქარი არ მიუტანა საცოლოს
მშობლებს, ისე მას ქალს არ მისცემენ. მს ჩვეულება,
მადლობა ღმერთსა, ბევრგან მოისპო, მაგრამ ლახ-
სუმში დღესაც არსებობს იგი. აქ დედ-მამა თავის
ქალს ჰყიდის და საქმრო საცოლოს ყიდულობს.
მსტკეათ, კაცს უნდა შეერთოს ცოლად ვინმე გლე-
ხის ქალი. ამ კაცმა ჯერ საცოლოს დედ-მამას უნ-
და მიუტანოს 20-30 მანეთამდე, რომელსაც „დასა-
ლევს“ ეძახიან; 30-40 მანეთამდის „ხალათის“ ფუ-
ლი უნდა მიუტანოს; გარდა ამისა, მრავალი ხორაგი:
ღინო, პური და საკლავი; მათ მაგიერ სასიძოს
შეუძლია ფულიც მისცეს საცოლოს დედ-მამას. თუ
ეს პირობა არ შეასრულა სასიძომ, მას ქალს არ
მისცემენ, კიდევ რომ მოსწონდეთ ის საცოლოს და
მის მშობლებს. შეგონ ეს წემით ჩამოთელილი
ფული და ხორაგი სასიძომ საცოლოს მშობლებს
ჯვარის წერის დროს სახლში უნდა მიუტანოს. ბევრი
დედ-მამა ამ მიტანილ ფულს და ხორავს იწუნებს
და მეტსა სთხოვს სასიძოს. მს უკანასკნელი გარე-
მობა იწვევს დიდს უთანხმოებას სასიძოსა და სა-
ცოლოს მშობლების შორის. ხშირად მომხდარა, რომ
გაცნობის შემდეგ სასიძოს და სასცოლოს ერთმანეთი
მოსწონებიათ, შეყვარებიათ კიდევაც ერთმანეთი,
მაგრამ მისათან ფულზედ ვერ მორიგებულან. ამ
გაჭირობის დროს რომ გამოჩნდეს უფრო შეძლებუ-
ლი კაცი, რომელსაც მეტი ფულის და ხორავის
მიტანა შეუძლია ქალის დედ-მამისათვის, დედ-მამა
იმას მისცემს თავის ქალს, კიდევ რომ არ მოსწონ-
დეს საცოლოს საქმრო. მაგრამ ქალს როგორ შეუ-
ძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მშობლებს და იძუ-
ლებულია გაჰყვეს ცოლად იმ კაცს, რომელიც მას
არ ჰყვარებია და შემდეგშიც არ ეყვარება. ჯვარის
წერის შემდეგ ხშირად ამისთანა ცოლ-ქმრებში ჰხდებ-
ა უსიამოვნება და საქმე თავდება იმით, რომ ცოლ-
ქმარნი შორდებიან ერთმანეთს და შეიქნება ერთი
საჩივარი მათ გაყრაზე.

ესეც მოხდება, რომ დედ-მამამ სასიძოს ქალი
არჩევოს, მოურიგდენ სასიძოს, თუ რამდენი ფული

ცალკეობს მშობნ ერები და აღმოუჩვენებ-
თიერებას მიერ თიერებას მხოლოდ მხოლოდ



და ხორავი უნდა მიუტაროს მან სასიმაგროს, ამის შემდეგ სასიძო იწყებს საცოლოსთან სიახურეს; მაგრამ ამის შემდეგაც რომ გამოჩნდეს უფრო შეძლებული კაცი და მეტი მისცეს ქალის დედ-მამას, იმას მისცემენ ქალს და წინაპირველ სასიძოს უარს ეტყვიან. წინაპირველი სასიძო ხშირად ვერ ითმენს ამისთანა შეურაცხებას და იბადება ერთი მტრობა და ჩხუბი სასიძოს და სასძლოს მონათესავე ან და მშობელთა შორის.

ხად იზოგინოს საწყალმა ლეჩხუმელმა იმდენი ფული, რომ საცოლოს გაუშმაძარი დედ-მამის მოთხოვნებზე დააკმაყოფილოს? ის იძულებულია ისხსნოს ქორწილისთვის ფული დიდის სარგებლით პირობის დაწერაც იათად არ უჯდება. მაღაზე უნდა გადახადოს ეს ფული და, თუ ვერ გადახადა, მაშინ მას გაუყდიან სახლ-კარს და ახდევინებენ ამ ფულსაც და მასთან „ჩუესტოკას.“

ღიდი ხანია, რაც ეს მაჰმადური ჩვეულება ლეჩხუმში და ზოგიერთს სხვა მაზრებშიაც არსებობს და ხალხს ჩუტყვე ჩვეულებად გადაქცევია. შაველ-მა ცუდმა ჩვეულებამ და ცრუ-მარწმუნებამ ცოლო ხალხში, მაგრამ ჩვეულება სასიძოსაგან იკლას ყოველ მოსპობის მაგიერ თან-და-თან ძლიერდება ხალხში. ზოგი ჩვეულება ისე უბრალოა, რომ, თუ ბევრი სარგებლობა არ მოაქვს კაცისათვის, არც ღიდი საზარალოა მისთვის, მაგრამ ეს ჩვეულება კი ძალიან საზარალოა სასიძოს, სასძლოს და მათი შშობლებისათვის. რაც გინდათ დაარქვით სასიძოსა- გან მოტანილს ფულსებს და ხორავეულებას, მაგრამ ნამდვილია ის, რომ სასიძო თავის საცოლოს ყიდულობს. ამიტომ ყველა მოგავე ვართ ვეცდით, რომ ეს ჩვეულება მოვსპოთ. ამისთანა ჩვეულებების მოსპობა შეადგენს სამღვდლოების პირ-და-პირ მოვალეობას. თუმცა ლეჩხუმის სამღვდლოება ხშირობს ამის წინააღმდეგ ღონის-ძიებას, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თავის მეცადინეობას ამ ჩვეულებების მოსპობის შესახებ იგი ვაარაკებებს და შეაჯი-ნებს ხალხს, რომ ვაქრობას სჯობდით არაქვს ცოლის თხოვის დროს; მართალია, რომ მოსპობა იმ ჩვეულებისა, რომელიც ღიდი ხნისაღან ხალხს შევიცხე-ბია, ძნელია; მაგრამ ამ შემთხვევაში მოვიტარებთ და გონივრული შეგონებით ყოველისფერი გავკეთ-დება.

ლეჩხუმელი.

იუდეიდან-ლოგოზი ირანს და კიბო... დახელონიტი...
 იბე იშუფიტე... წაბილი ოსმეთიდან...
 ოც-მეცხრე წელიწადი ი...
 ოც-მეცხრე წელიწადი...
 ოც-მეცხრე წელიწადი...

თუ წინათ ვაგონილი მქონდა, რომ უმეტესი ნაწილი ღიგორელი ოსებისა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებასა სტოვებენ და თათრდებიან. ამ ბოლოს დროს მე ნამდვილად დაეწმუნე ამ ამაში. ღიდი ხანი არ არის, რაც მე ვადამიყვანეს ღიგორში, სადაც ადგილობრიმა ბლაღოჩინმა დაწველილებით გამაგებია საქმის გარემოება და მასთან მიახლო იხიცი. თუ რა საშუალებას ხმარობს ის, რომ ღიგორელი ოსები დაჩნეწ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე. მეც ვმეცადინებოდა და დღესაც ვმეცადინებ, რომ ამ ოსებმა ან მიიღონ მაჰმადის სარწმუნოება, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ ჩემს სიტყვებს და თავისუფლად იცდიიან სარწმუნოებას. მით კვირა დღეს ყრილობა იყო სასოფლო კანცელარიაში მეც წავედი იქ. მინდოდა შემიტყო, თუ რა საგნებზე ექნებოდა ხალხს მსჯელობა. შრილობის დროს სამმა ოსმა დაანება ყრილობას თავი, მივიდნენ იქვე გადმომდინარე წყაროსთან, გაიხადეს ფეხი და დაიწყეს ხელო-პირი, წარდგენ სამხრეთისკენ და დაიწყეს ლოცვა— როგორც შემდგენის მაჰმადის აღმსარებელ კაცს. მე მიუახლოვი იმით, მაგრამ მათ სულაც არ მომიხილეს და განაგრძეს თავის ლოცვა. როცა ლოცვა გაათავეს, მე მივედი მათთან და ვკითხე, თუ რათ დაუტყვეეს მათ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და მიიღეს მაჰმადის სარწმუნოება? მათ ამაზე გაბედვით მიპასუხეს შემდეგ: „ჩვენი დედ-მამა თათრები იყვნენ და ჩვენც მათ ჩვეულს ვასრულებთ“. მე მივეცი მათ დარიგება და შეკოე დღეს ვაქრობე ამაზე ადგილობრით ბლაღოჩინს, რომელსაც ესთხოვე, რომ მიქცეულეს ალკაძლოდათ ჩვენ ეკლესიებთან ლოცვა, რადგან შეიძლება მათმა მაგალითმა მოქმედლოს პატარა მართლ-მადიდებელი ოსების შეიღებსზე, რომელნიც მიქცეულეს უტყვერნ ლოცვის დროს. ადგილობრითმა ბლაღოჩინმა ჰქნა ამაზე განკარგულება და აღუქრძალა მიქცეულეს ჩვენი ეკლესიების მახლობლად ლოცვა. ღიდი ხანი ვერ ვაგონებ იქ მიქცეულეობის ნამდვილ ქრისტიანებისაგან და ახლად მიქცეულეობი ნამდვილ თათრებიდან. როცა დადვა ღიდი მარხვა და ეკლესიასზე მოდიოდა ხალხი სალოცავად და საზიარებლად, მაშინ კი აღვიღლად განვაჩინე ქრისტიანები მიქცეულებისაგან.

მე მხარეში ყოველ ოჯახში ნახათ მართლ-მადიდებლებსაც და მიქცეულესაც. ხშირად შეხედვით, რომ ერთსა და იმავე ოჯახში ცოლი მაჰმადის სა-



რწმუნობისა არის და ქმარი მართლ-მადიდებელი. მათ ოჯახში ზოგი ძმები მართლ-მადიდებელი არიან და ზოგი კი გამაჰმადიანებულნი; მათ რომ ჰკითხოთ, თუ რათ აღიარებენ ისინი სხვა-და-სხვა სარწმუნოებას, როდესაც ერთი დედ-მამის შვილები არიან, თვითული იმართლებს თავს და გვეუბნება, რომ ჩვენი დედ-მამა თათარი ან მართლ-მადიდებელი იყო. ჩემს შრეულში ერთ ოსს ჰყავდა სამი ვაჟი, სამივე ცოლიანები. შუროსი შვილები გაყვეენ მამას და ცოლვე დაესახლენ, მამა და მისი უმცროსი შვილი ერთად დარჩნენ. შუროსმა შვილებმა მალე მიატყვეს ჩვენი სარწმუნოება და მიიღეს მაჰმადის სარწმუნოება. მამა და მისი უმცროსი შვილი კი დღესაც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას აღიარებენ. მა მობხუტებული კაცი ხშირად შემომჩივის, რომ შვილები გამითათრდნო. მიქცეულები ხშირად ქრისტიანების ქალებს თხოულობენ და ქორწინების შემდეგ ქმრები თვითან ცოლებს ათათრებენ. ისეც მოხდება ხოლმე, რომ მართლ-მადიდებელი ოსი ირთავს მიქცეულის ქალს, რომელიც მერე თავის ქმარს ათათრებს.

მა ღონის ძიება უნდა იხმაროს კაცმა ამის შესახებ, არ ვიცი. მათზე ჩვენ სწავლა მოადრებას არა აქვს მოქმედება. ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, საჭიროა, რომ აქ გამოგზავნონ ხეირიანი მკვლევრები და მასთან გახსნან სასაფლო სკოლები.

II.

მცირე შენაშენა.

„...მსეთი მეცხრამეტე საუკუნეს ვეღარ ვაღიარებ; ვასკლამდე ჩაყოფს თავს და სხვა ხალხს ჩაერევა...“ („ღრობა“ № 217, სტ. ს. გ. შვილისა) მას აღსრულდა რაღა?! ის ოსები, რომელთაც უჭირავთ ძველბრძანის შუა-გული მდ. მერგიდამ დაწყობილი, ვიდრე ლიხავამდე, ის ოსები (რაცხვით 120,000-მდე), რომელნიც ითვლებიან ერთ უსყველეს ძველბრძანის ტომთაგან, რომელთაც ერთხელ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც ისტორიულ

ხალხს, რომელთაც ოღდემე განთქმული, მდებარე **Caucasiae pulae** ეკირათ და გამეღელ-გამომღელეს გარდასახლს ერთმეღენ, ის ოსები მეცხრამეტე საუკუნეს ვეღარ ვაღიარებებ და სხვა ხალხს ჩაერევა!... მს მბაგი, (რომელიც იქმნება მართლაც მალე ნამდვილ მოველენად გარდაიქცეს), არამც თუ ყველა ოსეთის შვილისათვის, არამედ იმისათვისაც, რომელსაც უგარძნია ამ გვარი მოველენის შიში, იმისთვის, რომელსაც ცოტაოდნად მაინც უღვივის გულში ქრისტიანული სიყვარული ყველა კაცისადმი და საზოგადოდ ყველა ნაციისადმი, — საზარელი ამბავია! „მსეთი ბედო მოვლის, რასაკვირველია, ყველა იმ ხალხებს, ვანაგრობს პატრიცემული ავტორი, რომელიც არა აქვსთ წარსული, არა აქვსთ ტრადიციები, ლიტერატურა და ასე გასინჯეთ, არა აქვსთ თვითნათი საკუთარი ანბანიც-კი...“

ჩვენ გემართებს, რასაკვირველია, მადლობა გადაუხადოთ იმ პირს, რომელმაც თუმცა სამწუხარო ამბავი გაგვიმჟღავნა, მაგრამ გაგვიმჟღავნა ნამდვილი აზრი, რის გამო სიფრთხილე გემართებს. მს მოველენა თვით ავტორმაც „სამწუხარო“ მოველენად ჩათვალა.

მეცდმეა შემთხვევა ერთხელ კიდევ დაუბრუნდეთ ოსურ ანბანს და ოსურ ენაზე გადათარგმნო წიგნებს.

ოსებს არა ჰქონდათ და არცა აქვსთ დღეს თვის ანბანი. 1820-30 წლებში ერთმა ოსთაგანმა, ი. იალღუზიძემ, შემოიღო ოსურ წერაში სახმარებლად ქართული ასონი, მაგრამ აკადემიკოს შერგენს, ოსური ღრამატიკის შემდგენელს, იალღუზიძის „თეორია“ არ მოეწონა და შემოიღო რუსული ალფაბეტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ოსურ ენის გამოთქმას, რადგან ასონი: ძ, წ, ქ, ჯ არ არიან რუსულ ალფაბეტში. შერგენისაგან შემოღებულ ალფაბეტის შემწობით ოსურ ენაზედ გადათარგმნა რამდენიმე საღმრთო წიგნი, რომელთაც, სამწუხაროდ, არა აქვსთ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა ოსებზედ, როგორც უნდა ჰქონდეთ. ამ წიგნებში, რასაკვირველია, ოსს ბეჭედი არა ესმის-რა; თვით ამ ალფაბეტზე ოსური ენის სწავლების საქმე „ძველბრძანის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლებში რიგინად არ მიდიოდა და არც შემდეგში წავა. მთელ სამხრეთ-ოსეთში (მდებარეობს გარდა) ეხლა არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელსაც შერგენის ალფაბეტზედ კითხვა შეეძლოს. მეკლესიაში, ამ ცხოველ სასწავლებელში, ოსს არა-იშვითად ესმის თავის სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა და ქადაგებითი



სიტყვა; მაგრამ „ასეთი გულ-ცივიება სარწმუნოებაზე, ასეთი რელიგიური ინდფერენტუზში არა ხალხში არ უნდა იყოს, როგორც მსხვერპლში. ამით ჯერაც არ გამოხელათ თავიდან თავიანთი „გაჩილ-ლას“ და სხვა და სხვა „შერთების პატივისცემა“ როგორც ამბობს ბ. ს. მკ-შვილი.

ჩვენ სრულიადაც არ გინდა ესთქვათ ის, რომ რუსული აღჭაფიტი ნუ იხმარება მსურ წერაში. — არამედ იმას ვამბობთ, რომ რიგია შეადგინონ (თუნდ სხვა და სხვა ენებიდანაც) ისეთი აღჭაფიტი, რომელიც ჰხატავდეს მსურ გამოთქმას და მაშინ შეიძლება ლიტერატურა განზღეს როგორმე ამ ენაზე.

წარ შევიცილიან აქვე საყვედური არ უძღვინათ მსურ სწავლულ ახალ-გაზრდობას, რომლებთანაც მრავალ დაუსრულებია თვით მაღალი სასწავლებლებიც, მაგრამ ძალიან ცოტას-კი ზრუნავენ სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის. სემინარიაში კურს-დასრულებულ მივდლებს უფრო მომეტებული დეწლი და სინილისიერი სამსახური მიუძღვისთ სამშობლოსადმი, ვიდრე რომელიმე უნივერსიტეტში ნამყოფ პირს. პირველთა (მმ. პოლოცემა, ალაჯიკოვა, ა. სუბიემა და სხვ.) მსურ ენაზე გადასთარგმნეს რამდენიმე ხალხთა წიგნი. მითი აწინდელი ძაფის მისიკოპოსი, ყოვლად-სამღვდელო იოსებო, ხმარებს ყოველს ღონისძიებას მსეთში სწავლა-განათლების გასაერცელებლად.

ყოვლად-ვიღოთ სიტყვანი, მართლაც რომ ჰატიე-ცემული პირისა, მივეშველოთ დასაწერეად გამზად-ბულ ქვეყანას და, შექლებისამებრ, ჩავსეთ იგი ნამდი-ვით კალაბრტში! პირველადე ჩვენი თხოვნა მივდლების საკულისხმოა: სწავლა-განათლება, ქადგება ქრისტიანობაზედ—აი პირველი პირობანი, რომელთაც შეუძლიანთ შეინახონ მსეთი უფებ-ლად, თორემ არც ერთი ქვეყანა არ გადაურჩება მუხთაოლ სოფლის გამაქრობელ და დამარტვე-ველ ძაღს.

გიორგი ლიხნევილი.

დათვალიწმარება სასახლის წმ. გიორგის ტაძრისა დ. თბილისში.

ქარხოსის სადგომის პირ-და-პირ, გუერნატორის ქუჩაზედ არსებობს შემოხსენებული წმიდა ტაძარი. ზარეშეშო ამ ტაძრს არტყია სახლები, რომელთაც თავის სიმაღლით სრულიად დაუჭრიალია

სახლი შულისა და ისრე შეუეწრობიანთ ეს დიდებული, ერთ დროს დიდებულითა კარის ეკლესია, რომ მართა ზარის ხმა გაფიქრებინებთ: აქ უნდა არსებობდეს ტაძარი. ზარეშე ადგილები, საცა ეხლად ამაყად ამართულან შენობანი კერძო პირებისა, წინად ეკუთვნოდა ქართველთა მეფეთა, ხოლო შემდეგ 1801 წლისა გადაეიდა ახალ-სახელმწიფოს გამგებობაში და 1840 წელს მთელი ეს არე-მარე გაყიდულ იქმნა კერძო პირებზე.

მმ. ზორგის კარის ეკლესია აშენებულია მახტანე ზორგ-სლანისაგან აშენებულ მთავარ-ანგელოზის ტაძრის საძირკველზე. მთავარ-ანგელოზის ეკლესია მემურ-წენგისაგან დანგრეულ იქმნა 1398 წელს. ამვე პირმა სრულიად საძირკვლიანად გააოხრა აქვე მყოფი მეფეთა სასახლე.

1640 წ. მეფე როსტომმა ააშენა მშენეიერი სასახლე და მთავარ-ანგელოზის ტაძრის საძირკველზე გააშენებინა წმ. ზორგის ტაძარიც. მეფის ძემ სიმონამ 1710 წ. დაასრულა და განამშენა ეს ტაძარი.

მე XVIII საუკუნეში ნახევარში გამაშადიანებულის მეფის იესეს ძე აბდულა-ბეგი სპარსეთის მხედრობით შამოვიდა თბილისში, აიღო შალა და გამაგრდა მეფეთა სასახლეში. იგი სცილიობდა წაერთია ქართლის ტახტი მეფის მრეკლე პირველისათვის. მაგრამ მისმა გამებდობამ კინაღამ არ იმხეერბლა ეს სჯულისა და ქვეყნის მოლაოტე. მისგან წინააღმდეგ ქართველთა ჯარისა გასროლილი ზარბაზნის ყუმბარა დაეცა წმ. ზორგის კედელსა, რის გამოც ქართველთა ღვთის მოსაენი შეედარნი აღვივდნენ, სწრაფი იერიში მიიტანეს აბდულა-ბეგზე და, სამი საათის ბძროლის შემდეგ, იძულებულ ჰყვეს გასულიყო იგი და გაქეულიყო სპარსეთში.

ლა-მამხალ-ხანმა თბილისი რომ გააოხრა, მაშინ მეფეთა სასახლეს დაანგრია. მეფე ზორგი XIII-მ ერთი მხარე ამ სასახლისა ისევე მიაშენა და ამით წმ. ზორგის ტაძარს მედნის მხრით მისავალი შეეკრა. ამ სასახლეში დელოფალი მარიაში სტოვებრბდა, ვიდრე ლაზარევის მოკლამდე. მის შემდეგ გადასახლებულ იქმნა რუსეთში თავის შეიღებოთურთ.

წინდელ მფლობელს ძველის სასახლისას (სალამბეგოეს) თვის უფლებებით ძალიან გადუჭრებია! მკლესის საშხრთ კედელზე მოუღდა ამ მაღალი გლაგანი, ერთ მტკაველ ეკლესიის ეზოზე თავის სახლიდამ გადმოუკიდნია განიერი ბალკონი და ამა-საც არ დასჯერებია: თავის ეზოდამ ტაძრის ეზოში, ეკლესიის შესავალ კარების პირ-და-პირ, გამოუყეა

წი საწვიმარი მილი, რომელიც დიდ ნიაღვრობის დროს მეტად საშიშოა ხოლმე საყდრისათვის. მას, როგორც დამარწმუნეს, თვით ეკლესიის ქვეშ გაუყეთებია სარდაფი და ეკლესიის სამხრეთ კედელზე მიუდგამს საჯინბო. აი ვითარება და აწინდელი მდგომარეობა წინანდელი კარის ეკლესიისა!

ზნა დაეთვალიეროთ თვით ეკლესია. ეს არის მცირე, ბიზანტიური ყაიდის შენობა. შიგ აქვს ძველბუთური ნახატები, რომლებშიააც ახლებსაც ნახავთ. სხვადასხვა ისტორიულის ნაშთებით მდიდარი არ არის. წიგნით საცემში მოიპოვებთან ერთი-ორი ხელთ ნაწერნი, მაგრამ ისინი არ არიან შესანიშნავნი, რადგან ეკუთვნიან ახალს დროს. სხვათა შორის, შესანიშნავია ტაძრის წმიდა ბიორგის ოქროთი დაფერილი ვერცხლის ხატი, რომელზედაც წაითხებია: „წმიდა ბიორგი, — მეფის ბიორგის კარის ეკლესიისა“. ამავე ხატზე გვერდით მოწერილია: „*риза украшена Петромъ Соколовскимъ 1849 году*“. არის აგრეთვე ძველი ხატი — წყარო ცხოვრებისა, რომელიც გამოგზავნილია ძაბატანტინეაოლის პატრიარქისაგან.

ზნა და ქურკულთაგან ჩვენს ყურადღება მიიპყრო მშენებრმა ბარძიმ-ფეშხუმა და სანაწილე კოლოფმა. პირველზე არის შემდეგი წარწერა: „ქ. შენ მოწამეთა შორის მხნესა და ღვაწლთა შემოსილსა უძლეველსა დიდსა მთავარ-მოწამესა ბიორგის შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ბარძიმი ესე მე ყოვლად უღირსმა და ცოდვილმან ბატონიშვილმან ბიორგიმ, რათა მეგზ მექმნა საშინელსა მას მეორედ მოსვლასა ძრისტესსა მეუფისა, ამინ. ძრისტეს აქეთ 1768 წელსა. ჩღაშ. მისხალი ტ“ (300).

ყმხუზე აწერია: „შენ მოწამეთა შორის მხნესა და ღვაწლთ შემოსილსა უძლეველსა მთავარ-მოწამესა ბიორგის შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ფეშხუმი ესე მე ყოვლად უღირსმა ბატონიშვილმა ბიორგიმ... (ვაიმეორგისი ისევე ზემო მოყვანილი)... მისხალი რა“ (101).

სანაწილეზე: „კარის საყდარს წმიდის ბიორგის ჩვენ ბატონიშვილმა ბიორგიმ თქვენ წმ. ბიორგის ეკლესიას შემოგწირეთ სანაწილე კოლოფი ვერცხლისა მისხალი ასი. მინც გამოგწიროს და ამის დაშლად ხელ-წყოს, შენ რისხედე მას. ძორანიკონსა უდა“ (1761) წ.

ქვე არიან ძველნი შესამოსელნი, შენახულნი მშენებრად.

შიგ ტაძარში და გარეთ არსებობდა სისუფთავე და სიფაქიზე. ეს მიეწერება აწინდელს წინამძღვარს ეკლესიისასა, მ. მოლოდინოვს, რომელსაც გაუფლესინებია ეკლესიის კედლები და სამრეკლოც მკვიდრი სახურავით დაუხურავს.

კათოლიკოზი ანტონი II.

(გაგრძელება).

ძაოგორცა სჩანს, ელჩებს მშვენიერად შეუსრულებით მათდამი მინდობილი საქმე, რადგან ტრაკუტატი მკატერინეს დაუმტკიცებია. მღვინისათვის და სხვა წარჩინებულ ქართველთათვის უბოძებია ძვირფასი ნივთიულობა, ღირებული 30 000 მანეთად; ხოლო მრეკლეს მეუღლის ღარიასათვის ორდენი წმ. მკატერინეი და ბეკუდი (5,500 მან.); მეფის ძეს ძირიანს, 17 წლისას, ებოძა პოლკოვნიკობა და დანიშნა უფროსად შაბრდოს გეგითი პოლკისა, შავევაძე დანიშნა მინისტრად მისი შშაღლესობის იმპერატრიცის კარზედ. მეფის ძე ბერი და იერო-დიაკონი ანტონი დაშთა რუსეთშიც და 1784 წელს, მეფის მრეკლეს თხოვნით, ცარსკი-სელოს სასახლის ეკლესიაში, იმპერატრიცის და მისი უშაღლესი სასახლის წვერების თანადასწრებით- კურთხეულ იქმნა ეპისკოპოსად, სახელ-წოდებით ნინოწმიდელი. ახლად კურთხეულ ღვდელ-მთავარს მკატერინე II-მ უბოძა ძვირფასი, ბრილიანტებით შემკული პანაგია. იმავე წელიწადს მეფე მრეკლემ დანიშნა იგი ალავერდელად. ხოლო რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1788 წ., 29 თებერვალს *) აღესრულარა უნეტარესი კათოლიკოსი ანტონი I, იმავე წელიწადს, 29 ოკტომბერს დანიშნა იგი კათოლიკოსად საქართველოსა. (იხ. Странникъ 1865 წ. 95—97 გვ.). ასე ანტონი სულ 26 წ. და რამდენიმე თვისა იყო, რომ აღვიდა საყდარს ზედა საკათოლიკოსა. ამ დღისათვის ანტონს მარლამა მტკარპოლიტმა მიძმართა მშვენიერის სიტყვით, რომელიდამაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ ანტონი II აღიზარდა ანტონი I-საგან.

*) Археогр. ком. ტომში, შენიშვნაში, 74 გვერდზე თქმულია, რომ ანტონი I აღსრულა 19 მარტს 1790 წელსაო, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ქვემოთ მოყვანილს ვარადაამის სიტყვას, ეს თქმულება შეცდომილება უნდა იყოს და ზემოთ ხსენებული რიცხვი ანტონის აღსრულებისა მართალი.



ბრული მოგვეყავს სიტყვა მარლამისა, „თქმული საკათოლიკოსოს საყდრის ზედა აღსკვასა რა ნიშნების მართმეფასა ანტონი ირაკლი მეფის ძისასა“ (იხ. ქართ. ქრ. ჩუბინაშვილისა, გვ. 41—43).

„**ანტონარსო** და უწმიდესო მეუფეო მიგნებდარა დღისა ამის მოწყენასა, სსვა და სხვითა მაიძულებლობითა თანა-მადლობითა ვიძიებდებოდა, გარსა ვინათგან ესე გვართა მცირედთა სიტყვათა მეტყველებისა ძალი მიმიღიეს მე უწმიდესისა მის მეუფისაგან, პირველ მოსაყდრისა თქვენისა, და ვინათგან ოქროვანი ბაგენი მისნი დასწულ არიან, ამისთვის ვიტყვი კადნიერ სიტყვას უწმიდესობისა მისისას უწმიდესობისადმი თქვენისა.“

„**სრული უკვე**, უნეტარესო მეუფეო, უწმიდესო იგი მეუფე, აღმზრდელო იგი უწმიდესობისა თქვენისა, გიხმაბს დღეს საფუძლითა გამო ესრეთ: მასმინე მე, ჰოი, უწმიდესო ანტონი, მე ანტონის აღმზრდელსა შენსა, და ჰსცან, რამეთუ დღეს ფრადითა მხარაუღებოთა აღვივებო, რამეთუ რაივეცა სასურველ იყო ჩემდა იგი აღსრულებულ არსდა; ვინათგან სრულითა შენს სიბრძნეთა წარმეტყუელი დაიდგინე კათედრასა ამას ზედა ჩემსა. და ამასათვის ვინარებ მე ამას ზედა, რომელ მეცნიერებითა წყაროთა მეწყაროვნი ბაგენი, შენნი, ნაცვლად ჩემისა, დაიდგინეს მოძღვრად ამის წმიდისადმი კათოლიკე ეკკლესიისად. განაჰსცინებო მე ამას ზედა, რომელ სიბრძნისა ნაკადთა მენაკადულე ენა უწმიდესობისა თქვენისა, ნაცვლად ჩემსა, განაწყო მეწყემსად ამის დიდებულსადმი ტაძრისა; ვიშებ მე ამისთვის, ვინათგან ღვთის მეტყველებითა მდინარეთა მადნიერ პირი უწმიდესობისა თქვენისა განიჩინა განმცხად ამის წმიდისადმი სამოციქულო ეკკლესიისა; ესე არა დიდება ჩემდა და სიხარული უნავლო. ესრეთ უკვე, უწმიდესო მეუფეო, მისმინე, რასა ესე გჰქმნოს საფლავითა გამო და განსჭვრიტს სიძაღული, სიხარული, სიმტკიცეო და ძალი ჩემო შენისა მოხუცისა და მეტრფისა ბიძისაო და იხილო, თუ რამაზ რაოდენითა კეთილობითა შეგიმეცე ეკკლესია საქართველოსა და საღმრთოთა სიკეთითა განწმენებულ განცემობა, რამეთუ მე ეკკლესიითა შენნი წმიდანი მეცნიერებითა პორფირითა შეგამსენ, სიბრძნითა და დიდობითა განვაშვევენ, ცერემონიითა (?) მიტრითა განვაკაზმენ, და ღვთისმეტყველებისა გვირგვინითა დავაგვირგვინებ და ყოვლადსრულითა ფილოსოფოსებითა მოძღვრებთა პორფირ-დიადობითა და ჰედორ-ტრისპატიონითა (?) განვაშვევენ, და ყოვლითა სისძლიოთა სამეკულითა განვაშვევითა სსხდლოდ შენდა განვზაღვ, მოვედ და მიილე სძლად შენდა, და თქმენ დიდებულ დიდებითა ყოვლად უნავლიოთა. მოვედ, მოვედ, ტრედო კეთილო ბუდით სადავითოსით, მოვედ და განსტვენე წყემელობისა ამას ქვეყანასა შენსა, რამეთუ ზამთარი წარდა; წვიმა განვიდა და ყვაველითა გამოჩნდეს ქვეყანასა ჩვენსა და ვითარ რამე არა თქმა ესე, ესე არს, რომელ ზამთარი იგი უმეცრებისა წარჰსდა და განვაზიბე, წვიმა იგი უგულვიანობისა განსტვენე და ყვაველითა სიბრძნისანი გამოჩნდეს ქვეყანასა ამას ჩვენსა, ჩემ მიერითა შრომითა ნამუშავენი, რამეთუ მე ქვეყანასა ამას დავჰსტყენ თესლი სიბრძნისა და უმაღლესობისა მისმან მორწყო წყლითა მოწყალეობისათა, ხლო დემეთმან ზღაორმან ესრეთითა კეთილობითა განწმენებულსა დავიღასა შენსა, მოვედ, სიტკიცეობა ჩემო, და დაჰსტკიბი სიტკიცეობითა არა სდა წარმავალიო.“

„**წმით უკვე**: უნეტარესო მეუფეო, მოგილოცებ საფლავით გამო, კათოლიკე ეკკლესიისა კათედრასა ზედა აღსკვასა და ნეტარ თემცა შემბლელ-იუს თვალი ჩემი, რამეთუ აწ გხედვიდე შენ მწყემსო-მთავრობითა სამეკულითა განწმენებულსა. ნეტარ თემცა შემბლელ იუს ენაი ჩემი აწ პირის-პირ ზრანავად შენდა, რამეთუ სვა ვერვინ შემბლელ არს ღირსად შენდა მქის-მეტყველებად, თინიერი ჩემსა და სტეგარ მომლოცველი. გვედრებო ნუ დამივიწყებ, ჰოი უწმიდესო ანტონი, მე ანტონის მსსსსა შენსა; და კვლად გვედრებო, დიდებო ჩემო, დიდებულ-ჰყვენი შრომანი ჩემნი, სიძაღული ჩემო, სიძაღული, მოღვაწე ექმენ ეკკლესიათა საღმრთოთა მცნებათ. წარმართებად და შენ, გვირგვინო ჩემო! გვირგვინისან ჰვაე ეკკლესია საღვთოთა მოძღვრებითა და უბიწოთა კეთილ-მოქმედებითა და ამით თავიცა შენი ადილო და მეცა დიდებულ-ვიქმნა და სამწყსიცა შენი. დაამსრულებელი სიტყვისა, კვლად გვედრებო სხნებასა ჩემსა ზე ჰყოფ დავიწყებულ.“

„**სსე** სიტყვანი არიან უწმიდესისა მეუფისა და მეტრფისა მის ბიძისა თქვენისანი და მეცა აღვიბადლებ ნმას მოლოცვისასა და ზესთა ზომიითა სისარულითა აღვსილი მოულოცებ უწმიდესობას თქვენსა მოციქულთა მოსაუდრობასა და ივერეითა ერთა მწყემსობისა მიღებას. და ესრეთ, უნეტარესო მეუფეო, ჰტყელო ჰტემ-მარტისა ღვთის მეტყველებითა, მაგალითო კეთილსა უმან-კოგისაო, დისკოც და შარავანდემო საღვთისა მეცნიერებისაო, უბრკელი სასრუო კეთილ-კარბულეობისაო, და სასებაო მწყემსობითისა ჰტემარტისაო განმსჯელობისაო, ვვერნი დმარბო, რამეთუ ჰგეუფილითა უმნებლობითა დაცულ-ჰქრის უწმიდესობა თქვენი ყოვლითურთ; ხლო მადლი და კრთხევა უწმიდესობისა თქვენისა იყავ ჩემ ზედა უყენისადე. ამინ. წყლსა ქრისტეს აქეთ ჩლჰმ“ (1788).“

„**ესეცა** ცხადად არ არის ნაჩვენები, მაგრამ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ მივე მრეკლე დასწრო მცხეთის სობორბო, ანტონის საკათოლიკოსო ტახტზე აღყვანების დღეს და ამ დღესვე მიუბრძო თავის მკოლ ანა დედოფლის ნიშნის ნივთნი, სიგელით *) (იხ. **Акт. Арх. Ком. გვ. 68, т. 1**).

*) **ჩრველეს** სიგელი. იქ: წმიდასა და ყოვლად სანატრელს ბატონს კათალიკოზ-პატრიარქს ბატონიშვილს ანტონის მიგართვით კურთხევით სხენებულის ანა (მეორე ცოლი ერეკლესი) დედოფლის ნიშანი:

- ქ: სამეკულისაგან: პატროსანი პირის მარგალიტი ერთი.
- ქ: ღურას ვილა ერთი.
- ქ: ქინძის-თავი პატროსანი წყვილი ერთი.
- ქ: დილი ერთი.
- ქ: ბეჭედი პატროსანის თვალით ერთი.
- ქ: ტანისმოსო ტყევი ბადილი ყაყუმაზე დაბეჭედილი ერთი.
- ქ: დიბის ქათბაზ უწვეთი სავსე ერთი.
- ქ: კაბა დარაი ბაფთისა ერთი.
- ქ: სარტყელი თირაშა შავი ერთი.
- ქ: კრიალხანი ერთი.
- ქ: დარაბი ნავერი ერთი.
- ქ: საის საწვიმარი ერთი.

ქმ დიდგან იწყობა მოღვაწეობა ანტონისა საქართველოს ეკლესიის წარსამართებლად. შემდეგ ფრცკელი ცნობები არა გვაქვს და შეფერილი შის მოღვაწეობის, წიღობისა და სიძვირის შესატყობლად. მაგრამ მივიღებთ რა მხედველობაში შემდეგ ვაჩუქოვართ: 1. შინაქობის გარეშე მტკიცობის ამოხსნის და დაამტკიცებას საქართველოსთან; 2. ბატონი-შვილთა უთანხმოებას და ერთი-ერთისადმი შუღლს და სიძულვილს, გამოწვეულს მკეცლსაგან მფეოზის რიგის შეცულისაგან; 3. აღა-მაჰმადხანისაგან საქართველოს გაიხრებას; 4. მკეცლს გარდაცულებს; 5. საქართველოს ყინადაგო მფეომარობას; გამოწვეულს რუსეთთან დაწვევით, რომლისა გამოქართველობა მფეომარობა, დაიპყრებულა რუსეთის ძლიერა-მოსილს ძალაზედ, თითქმის მიიძინა და დროებით მიატოვა ზრუნვა საზრუნოებისა, მამულის და სხ. და სხ. მიღვე ვიშეჯერებთ, მივიღებთ რა მხედველობაში ყველა ამ ვაჩუქოვთ უწყევლა და უწყევლებრობა მიხვებთა. შევიძლიან ვიუქროთ, რომ კათოლიკოზს ანტონის დიდი მყადიერება და სიმტკიცე ხასითისა უნდა გამოეჩინა, რომ ამისთანა დაუძვე რომელს დროს დაეცა თვისი უწყობის ტახტი.

შემდეგ, როგორც დავინახავთ, მთელი თვისი სიტუაცხელ კათოლიკოზობის დროისა, შეტადრე 1801 წლიდამ ანტონს გაუტარებია ბრძოლაში თვისი ტახტის დასაცავად, მაგრამ მისი გამოცდილებას თვის, მდგომარობისათვის ბოლო მოუღიათ ამისთანა ბრძოლა, რომელთაც უყვართ ხოლმე ამდრკეულ წყალში თევზის ქერა. ამისთანა მტრები ანტონს ბევრი გამოუჩნდენ. მაგრამ რომ ჩვენი მსჯელობა უფრო საბოთიანი იყოს, უნდა მივიჩიოთ ფაქტებს, რომელნიც გვიხატავენ, როგორც იმ დროს, რადროსაც კათოლიკოსობდა ანტონი, ისეთ იმ ბრძოლასაც, რომელმაც ბოლო მოუღო როგორც ანტონის, ისე საქართველოს კათოლიკოზობას.

ანტონი კათოლიკოსი ისტორიის შესადგენად კარგი იქნებოდა; რომ მთელი დრო ამ პირის მღვდელმთავრობისა და გვეყვარ შემდეგ ხანებად: 1. 1788 წ.—1798 წლამდე (გარდაცელებამდე მისი მამის მკეცლის); 2. 1798 წ.—1800 წლამდის (გარდაცელებამდე მეფის ბიორგისა); 3. 1800 წ.—1810 წ. (ანტონის რუსეთში გაწვევამდე) და 4. ანტონის მფეომარება რუსეთში 1811 წ.—1827 წლამდის. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ხელათ სრულიად არა გვაქვს მასალა რომ სურვილი აღვისრულოთ და ეს უჩიად საყურადღებო დრო დაწერილებით დაუხატოთ შეთხვევს. მოღვაწეობა ანტონისა მისი მამის მკეცლს და მისი ბიორგის დროს ჩვენთვის დაფარულია. შეიძლება იყოს მასალანი ამ დროის მისი მოღვაწეობისა, მკვი არ არის, რომ არსებობს ამ ვაჩუქოვთ მასალა და იგი უთუთოდ ინახება მცხეთის სობორის ბიბლიოტეკაში. ღღეს ჩვენ უკონებლობისა გამო ცნობათა და მასალობათ ხსენებულ ყამის ისტორიისათვის, მოვიყვანთ ცნობებს ანტონი კათოლიკოსზე აღსრულებიად მისის ქმის მეფის ბიორგისა, ეს იგი 1800 წლიდამ ვიღვე ანტონის აღსრულებამდე რუსეთში და თუ საქართვება მოითხოვს, შეეცნებით წინა დროებასაც, შეძლებსამებრ.

მოცე ჯანაშვილი.

შუხანალ-გაქათიაბან.

ჩარსული წლის ეიგერის მე XI და XII სომარებში ჩვენ წავიკითხეთ საყურადღებო სტატია „მართლიანი საყურადღებო ხელ-ნაწერები ზელოენობის მხრით“, შედგენილი ჩვენი გამოჩენილის ისტორი-

- ქ: სარკიფოსი იარალი: ვერცხლის სანაყურე ერთი.
- ქ: აზარყუმა ერთი.
- ქ: თსი ერთი.
- ქ: ვილაბ ერთი.
- ქ: სურა ვერცხლისა ერთი.
- ქ: სანაყურის ზირანდაზი ერთი.
- ქ: სურის იარალი: ნაპაღდანი ვერცხლისა ერთი.
- ქ: სურა ყაშული ვერცხლისა ერთი.
- ქ: სურა ერთი.
- ქ: ანტონის ცხენი თავისი შექმნაზელობით ერთი.
- ქ: ქარხანის იარალი: სპილენძისა უპი ზარყუმათ სპი.
- ქ: ვაძი ცხრა-ერთი.
- ქ: ვილაბ ცხრა-ერთი.
- ქ: ზოშაზი ცხრა-ერთი.
- ქ: ხალაქი ცხრა-ერთი.
- ქ: ქუხუბი დიდი და: მატარა სპი.
- ქ: ტაშტი, ალღაუა ერთი.
- ქ: საფარეო.
- ქ: ქვეშაგები თავისის ჩარსავით და მაფარაშით ერთი მჭელი.
- ქ: დორი ერთი.
- ქ: სურანისეფი.
- ქ: ქერა ერთი.
- ქ: ხალიჩა ფუმი ერთი.
- ქ: ოსნა თანხაბადი წყვილი.
- ქ: მაჰარაშის ფარი ერთი.
- ქ: ვერცხლის უნავირო თავის რანტით ერთი.

(აზის ბეჭედი ვრცელსა)



კოსის, ღ. ბაქრაძისაგან. ჩვენ საჭიროდ ვრაცხოთ მე-
ცატკობინოთ „მწყემსის“ მკითხველებს ეს სტატია,
რომელიც მოგვყავს მუუცელოლად.

ძლიერად ვიცი, სახარების მოძღვრება საქათ-
ველოში მეთესუ საუკუნეში იქნას შექოტხნლი; იმ
დროადგან ქართულება დაწვეს თარგმნს თავიანთ
ენსა სირიულას და ბერძნულას ენიდგან სამღეთო
წერილის წიგნების, შირველად გადითარებმა ქართულს
